

1915

1915

იუმორისტ. ჟურნალი



აშაქაქი აააააააააააა



№ 8


1915

სიყვ. ქარ. ამხ

უ მ ა ლ უ რ ი ე ბ ი

ღე. „გაიფონგენ“ ვისაც ვერ
ლაუნხახს, რამდენ მწუხარებას ვი-
ტანდით მით გამოსაკვებათ.

ია ეკალაძე.



სიყვ. ქარ.

მეცამეტე გოჭი. დედილო მაკამე რაბე, მეც ხომ შენი შვილი ვარ?
ია ეკალაძე. შხამათ შეგერგოთ შეიღებო, თუ ვერა ხედავთ, რამდენ მწუხარებას ვიტან თქვენ გამო-
საკვებათ.

დ ი ა ლ ო გ ი.

„დაე იბუზღუნონ... ვინც სინათლეს ვერა ზედაეს.“

დაე, ჩამოგეშორდნენ, ვისაც ზარაღი, კერძობითი, გულისთქმა ვერ შეუკაყუბია და გაზეთა „ქათინაურების ფურცელი“ ჭკონია.

დაე „გაიფიცნენ“, ვისაც ვერ დაუნახავს, რამდენ შუშხარებას ვიტანდით მათ გამოხსა-კვებათ.

დაე თავისი მკვდრები გაახვიონ გაზეთის ქაღალდში, ვისაც ჰგონია, რომ ამითი ხელს შეგვიშლის და თავისი ძალას გამოიჩინს“.

ია ეკალაძე.

(გაზეთი „სამშობლო დედის ძუძუი“ № 08).

— აბა ეს რასა გავს? სად არის შენი სულის ზეური სიფაქიზე და სრული პრედილექცია?

მკვახეთ, ძლიერ მკვახე კილოთი ელაპარაკებოდა ბენს ია ეკალაძეს პატივცემული ს. კ-ლა, რომელსაც წინ გადაშლილი ედო ქუთათური გაზეთი „სამშობლო დედის ძუძუი“-ს 108 ნომერი წითელ ქაღალდზე დაბეჭდილი.

— შეე... შეე...

— ჰო შენ, დიახ შენ, როგორც სჩანს განგებამ ხელცარიელი დაგსვა აბსოლუტურად. პრედილექციური თვისაბანი შენში ინდივიდუარად საზღვრულ ყოფილან წინასწარად გარეშე ჩვენის შეგნებულის ჩარევისა.

— კი მაგრამ თქვენ როდის ჩაერიეთ ჩემსა და დირექციის საქმეებში?

— რომელი დირექციაა? მე გეუბნები პრედილექციის მხრივ შენ ხელცარიელობას განიცდი, ვინაიდან ბუნებრივი ნიჭებულება შენში აბსოლიუტურად ჩარხული რჩება იდეურ სიმდაბლემდე.

— მელაპარაკეთ თქვენი ქირიმე ქართულად. მე თუ ვთქვი, „თავისი მკვდრები გაახვიონ მეთქი“ ეს იმიტომ, რომ ქაღალდი იაფათ არ მომყიდეს.

— კი მაგრამ, ეს ხომ ზნე უზადრუკობა არის და ცხადია, როცა ბუნებრივი ნიჭებულება ჩარხული რჩება უმეტრებულეზის უხასიათობულებაში და გემოვნების სიტლანქებულე გულსაზარად ამოტივტივებს ხოლმებულებაში, მაშინ ფუნქცია შეგნებულად ხარჯვისა...

— როგორ თუ შეგნებულად ხარჯვისა? ამ

ქაღალდს ჩვენ უწინ ვყალულობდით 3 მან. 40 კ. ოზმას, ახლა კი ოზმაში გვახდენებს 7 მანეთს. დაე ისევ თავისი მკვდრები გამოახვიონ გაზეთის ქაღალდში მაგ ჩარჩებმა და ქვეყნის მყველფელებმა.

— ფიჰ, ფიჰ, ფიჰ! ბურბონ! შენ არაფერს გიშველის არც ჟამ-უწყვეტი მუსიაფებულება კაცობრიობის შეგნება შვილთა ნაწარმოებთა წაფებულობისა და არც მარადი წაფვა გარდაქმნა იმ ცხოველურ დასაბამისა გონების ჯანგაუტეხელ კონტროლის მტკიცე კულტურულებაში რომ მარცხად გაივლებს სულთა სწრაფვის აბსოლუტური პრედილექცია.

— თუგინ დამკალი, არაფერი მესმის. ასოთ-ამწყობები მე გავაძლო, ვაქრები მე გავაძლო, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება მე გავაძლო. ამდენი ღორი მე...

— ციცი! ეგ რა თქვი, ეგ რა ახსენე. ნუ თუ შენზე წინასწარი პრედილექცია და პირადი განცდა არავითარ შეგნებულ მიზან-წონილობას არ იწვევს. გირჩევნია კალამი ხელში ჩაგვმტვრეს და შესაფერი ხეობა ეძიო, თუ ის ვერ შეგიგნია, რომ საზოგადოებრივ აზრის შემოქმედელს დაცვა პიროვნების ნების ყოფის მიზანშეწონილი მოხმარება ესაქიროება.

— მაშ ნუ ვიტყვი მართალს? ღორი ღორია. ყოველი მხრიდან იერიში; მართლის თქმისათვის გაფეციცენ ასოთ-ამწყობები, რომლებსაც მე ვკვებდი, მართლის თქმისათვის დამემდურენ და გამიდგენ მეგობრები, მართლის თქმისათვის გამიძვირეს ქაღალდი. სამხეცეში ვარ რაღა. მხეცებს მხეცურად უნდა მოქცევა...


— ვალი! აზრის სიმადლე და სულის სიფაქიზე შენისთანა მდაბიო უკადრის მწერლის პრედილექციაში სიცალიერეს განიცდის და საკაცობრიო იდეალის სტიმულად ვერ გადაიქცევა. კრძალულ პატივცემულობის განქიქებას უხეშად ჩვეული, დამაფიქრებელ ნაქლთა ჩარხულობაში ეძიებს აბსოლუტურ განცდის ფუნქციათა სწრაფვის მიმდინარეობას. ეს თვისებები თავისთავად აუცილებელი და მარტოდ მარტო პრედილექცია...

— შენი ოჯახი დააქცია ღმერთმა... გამიშვი. შენი არც კულტი მინდა და არც კონტროლი. მე მაინც ვიტყვი:

„დაე თავისი მკვდრები გაახვიონ გაზეთის ქაღალდში იმათ, ვინც ქაღალდის ფასს მოუმატებს და ქვა ხეთქონ იმ ასოთ-ამწყობებმა, რომელნიც გამეფიცებიან. (გაღის).“

ბ-ნა ს. კ-ლია კარგა ხანს იჯდა დაფიქრებულ
 ლი და ბოლოს მწუხარებით წარმოსთქვა:
 — მოდი და ელაპარაკე ამ
 (ეს სიტყვები ცენზორმა არ გაუშვა).

ეშმაკი.



ვ ი რ ი.

(საღსშო გაგონილია)

ერთსა კაცსა ახოვანსა
 თვალად, ტანად მშვენიერსა,
 სულ ყველაფრის მქონე-პატრონს
 ცოლით შვილით ბედნიერსა.

ერთი ჰქონდა მხოლოდ წუნი
 და მით აღდა გასაქირი
 სამწუხაროდ, სასირცხვილოდ
 მას სახელად ერქვა ვირი.

ცოლი მისი დანამწუხრი
 მუდამ იმის ცდაში იყო
 ქმრის სახელი რამფეარად
 სხვა სიტყვაზე შეცვლილიყო.

ერთხელ ქმარსა აუხირდა:
 რაც გინდა ის იღონეო
 და სახელის გამოცვლისთვის
 რამე გამოიგონეო.

ჩვენი „ვირიც“ ფიქრს მიეცა
 მეგობრებსა სთხოვა რჩევა
 უფრო მეტად მათ მიანდო
 სხვა სახელის გამოჩვენება.

მეგობრებმაც ითათბირეს
 დაილაღეს ენა, პირი
 და ამ რჩევით გაათავეს
 კარს მოსული გასაქირი:

„ვირს სადილი გაემართა
 მეგობრების მოსაღებნი
 და სხვა გვარად მოენათლათ
 კაცი იგი შენაკცხვენი“.

გამიართა სმა და ლხინი,

სასიამო-სანატრელი,
 შეუცვალეს ვირს სახელი,
 აუსრულეს საწადელი.

ვირმა ცოლსა მიახარა
 ახლად დავიბადე ღღესო
 მე სახელი შემიცვალეს
 და ჩოჩორი მიწოდესო.

ცოლმა უთხრა: უგუნურო
 ჩოჩორი რო გაიზღები,
 აბა კარგად ჩაუფიქრდი,
 ისევ ვირი არ გახდები?

ჩრჩილი

„ძმური ნუგეში“.

ჩემს ყურში ამ წუთშიაც მკაფიოთ გაისმის
 ვერცხლის ზარის რეკასავით კრილა კისკისი...

ვერც მანძილმა (იქიდან ვხლა კარგა შორს
 ვიმყოფები) და ვერც დრომ (ერთი თვე გავიდა მას
 აქეთ) ვერ შეარყია ჩემს ხსოვნაში ის საღამო და
 ახლა თუ სიამით ვიგონებ კრილა კისკისს, მაშინ
 სიმწრის ოფლში ვიწურებოდი; მაშინ მათი კრიმან-
 კული სიცილი ტყვიის საფანტავით ხვდებოდა ჩემ
 გულს, უწყალოთ მიკაწრავდა და მწარე ტკივილს
 იწვევდა...

გულ ჩათხრობილი ადამიანი რომ ვიყო, სწო-
 რედ შურის ძიების ღირსნი არიან, მაგრამ ჩემ
 ხასიათს ეს გრძნობა არ ჩვევია: პირადი ჩემი წყე-
 ნა და ტკივილი დამავიწყდა და ის მთის წყარო-
 სავით რაკ-რაკა კისკისი ჩამირჩა გულში...

ყველაფერი მოულოდნელობისა და ჩემი სუ-
 ლელური სიმორცხვის ბრალი იყო.

ჩემი სიმორცხვის ამბავი ვის არ გაუგონია!
 ამ მხრით განთქმული ვარ. ისე ვიბნევი ხოლომე სა-
 ზოგადობაში და უცხო კაცთან, ისე ამერევა ხოლო-
 მე გონება, თვალი და ცნება, რომ ჩემზე „სასაცი-
 ლო და საცოდავი მაშინ არ ვიცი ვინმე იყოს...“
 მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ჩვენს ამბავს
 დავუბრუნდეთ.

წავიკითხე თუ არა გაზეთებში, გალოცვინის
 პარსპექტზე ქართველ ქალთა მიერ დაარსებული
 საჩივე „ძმური ნუგეში“ გაიხსნაო, მოვალეობის
 შეგნებამ შემიპყრო: გადავწყვიტე დაუწყონებლივ
 წასვლა და ორიოდ ჰქია ჩაის დაღვევა; ამით უპი-
 რველეს ყოვლისა ჩემს წვლილს გავიღებდი და;

შემდეგ, შაქრიან ჩაით პირს ჩავიგმორიელებდი (სახლში შაქარი არა მქონდა).

წაველი. გზაში შესაფერ გუნებაზე დავდექი და სათნოებით აღსავსე აზრებმა გამიტაცა: რა კარგია, ფოქრობდი მე, რომ ჩვენ, აქ დარჩენილები, არ ვივაწმებთ ჩვენს ძმებს, რომელნიც ჯოჯობეთურ ტანჯვითა და თავგანწირვით იბრძვიან იქ, შორს, და ძმურ ნუგეშს ვაწვდით ამ სიშორიდან!

რა კარგია, რომ ჩვენ, ქართველებმა, შევიგენით ღღევიანდელი მომენტის მნიშვნელობა და მთელი ჩვენი ენერჯია დავანაოთ და გავაჩაღეთ: 1) გადავწყვეტეთ საჩაიეს დაარსება; 2) დავადარსეთ საჩაიე; 3) გავხსენით კიდევ ეს საჩაიე; 4) დადევინებთ ამ საჩაიეში და ძმურ ნუგეშს ვუგზავნით შორეულ პეპარებს... ქვეშაობით ჩვენვე ვპეღთ ჩვენსავე ბედს და ესოდენი ჩვენი ენერჯია და გარჯა სიპართლიანათ ჩავგეჯუღებთ ჩვენი მომავლის საკეთილდღეობით!

ასეთ ფოქრებში ვიყავი გართული, „ძმურ ნუგეშს“ რომ ვუხებლოვდებოდი და წინ და წინვე მქონდა წარმოდგენილი ის სურათი, რომელიც იქ დამიხედებოდა: საჩაიეში სხედან ძმები-ქართველები და თავგანწირვით და მძიმე მოვალეობის შეგნებით სკლიან ცხელი ჩაით სავსე ჭიქებს... ოფლი წურ-წურით ჩამოსდით სახეზე. თავზე ოშივარი ასდით, პირი ყველას დაწვარი აქვს, მაგრამ ამ ტანჯვასა და წამებას არათ აგდებენ, რათა ძმური ნუგეში არ მოაკლონ თავიანთ განწირულ მოძმეებს და კიდევ და კიდევ განაგრძობენ ცხელ-ცხელი ჭიქების დაღლას...

— ძმებო, მეც თქვენთანა ვარ! მეც ქართველი ვარ: ჩემი სამშობლოც ორ ზღვას შუაა გადაქმული! აი ეხლავე გავადებ კარს, შემოგიერთდები თქვენ, დავჯდები და შევეუღებო ჩემი ვალის მოხდას მამულის წინაშე! თქვენი თვალით დარწმუნდებით, რომ მეც შეძლებია თავის გამეტება: მანამ არ დავღუტებებ მდულარე ჩაის მასს, ვიდრე თვით არ ავღუღდები, ვითარცა სიმოვარი... ძმა ძმისთვისო, ამ ღღისთვისო! მეც თქვენთანა ვარ, ძმებო...

ვადებ კარსა და შევდივარ...

აი, აქ იწყება იმ გარემოებათა ჯაჭვი, რომელთა წყალობით ის საღამო ასე ნათლათ აღიბეჭდა ჩემ ხსოვნაში.

შევედი თუ არა, უპირველეს ყოვლისა თვალში მეცა თვორათ შემოსილ ანგელოსთა გუნდი... ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს სურათი,

რომ გონება ამერია, ფეხი რალაცას (გზონი კარბეში დაგებულ ფეხის საწმენდს) წაზოვდევი და წავიქეციოდი რომ იქვე სკამს არ დავყრდნობოდი ორივე ხელით. მოვიკრიბე რაც გულის სიმავრე მქონდა და მარცხის გამოსასწორებლათ ვითომ თავისუფლათ და დაუდევრათ გავემართე რომელიღაც სუფრისაკენ; გზაში ორიოდ სკამი წავაქციე, მაგრამ ყურადღებაც არ მიმიქცევია და დავჯექი.

— უკაცრავათ... თუ შეიძლება დგოდეს აბრძანდით! ჩამესმა შიგ მარჯვენა ყურში ვილაცას აღფოთებული ხმა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ამ კაცის მუხლებზე ვიჯექი

ალარ მახსოვს, როგორ დავჯექი ცარიელ სკამზე. როცა გონს მოვედი და ცოტათი გამოვერკვიე, ვიგრძენი რომ ყველა „ძმების“ თვალები ჩემკენ იყო მოპყრობილი და „ღებიც“, ჩემი უბედურების მიზეზნი—ანგელოსები, მე მომწერებოდნენ.

ერთი ანგელოსთაგანი გამოიყვა გუნდს, მოვიდა ჩემთან და დაჩილით მკითხა:

— რას ინებებთ, ბატონო!

სწორეთ ასე, ამ ლექსით ქართულათ!

გავშტერდი.

ანგელოსი და—ქართულათ ლაპარაკობს! ტყუილია! ეს ანგელოსი არ უნდა იყოს! ვანა მე არ ვიცი, რომ ყველა ზეციერი არსი, დაწყებული ღმრთისა და იესო ქრისტესაგან ვიდრე სერაფიმე საროველამდე და, მაშასადამე, ანგელოსებიც, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობენ? ვანა მეც, პატარაობიდანვე, მხოლოდ რუსულად არ ველაპარაკებოდი ხოლმე ღმერთსაც და ანგელოსებსაც!

— ანგელე ბოჟი, ხრანიტელიუ ღუმ ი ტელეს ნაშის...

ანგელოსებს რო ქართული სკოლნოდათ, ვანა ქართულათ კი ვერ ვეტყვოდით?... ღვთის წინაშე, რუსული კილო კი ეტყობოდა ჩემს ქართულათ მოლაპარაკე ანგელოსსაც — **„Рась инебейтъ, батоно!“**— მაგრამ ხომ მაინც ქართულათ მითხრა! გავშტერდი და უფრო დავიბენი.

— რას ვინებებ?... მმმუუ... მომიტანეთ... ერთი ჭიქა... მმმ... ძმური ნუგეში

— როგორა?

— ერთი ჭიქა ძმური ნუგეშ... უკაცრავათ... ერთი ჭიქა... ჩაი!

მაგრამ ეს ჩემი პასუხი ალარ ესმოდა, რადგან ისეთი ხარხარი წასქდა, რომ მთელი მისი საროს ტანი ცახცახმა აიტანა; შეუჩერებელი კისკისით გაბრუნდა და კვლავ ანგელოსთა გუნდს შეუერთდა.

დანარჩენები გარს შემოერთებენ მას და, როგორც მერცხლის ბარტყები აელურტულდებოან ერთხმით, დედა რომ მიუფრინდებოთ ბუღეში და საკვებს მიუტანს, ის მთელი გუნდი ერთხმით აკისკისდა, ისე გულიანათ, ისე გადამდებოთ, რომ მთელი საჩაიე აპყვა და შეიქნა საერთო თავშეუკაცყე-ბელი ხარხარი.

„ძმური ნუგეში“ აიგსო მხიარულებით...

— ხა-ხა-ხა... ჰო-ჰო-ჰო! ხი-ხი-ხი!

ხარხარებდენ უხეშოთ ნუგეშინის მცემელი „ძმები“ და მათ ხორხოცში, როგორც ვირტუოზის პირველი ქიანური საბერავ საკრავთა არეულ ორკესტრში, ისე მოისმოდა თეთრათ შემოსილ ანგელოსთა კისკისი...

საერთო სიცილ-ხარხარის ამ აწყვეტილ გრიგალში მარტო მე ვიყავ გამოყოფილი, მე, მიზეზი მხიარულებსა, და ყველაზე საშინელი და სასაცილო ის იყო, რომ ვგრძნობდი მეც სულელური, უაზრო და ყოვლად უშნო ღიმილი მიპრტყელებდა სირცხვილისაგან გაქარხალბულ სახეს და იმდენი ძალა არ მქონდა, რომ სახის კუნთებს დავბატონებოდი, რათა ის იდიოტური ღიმილი შემეჩერებინა...

გუნდს კვლავ გამოეყო ერთი ანგელოსი, ახლა სხვა—ქერა თმიანი და შავთვალა, და ჩემს სუფრასთან მოვიდა:

— რას ინებებთ? ხა-ხა-ხა-ხა!

— ერთ ჭიქა ჩიის, ჰე-ჰე-ჰე! სულელურათ ვიცინოდი მეც.

— ჰა-ჰა-ჰა... ჰო-ჰო-ჰო... ჰიე-ჰიე-ჰიე! ხარხარებდა მთელი „ძმური ნუგეში“.

— Какой смѣшной! ჰა-ჰა-ჰა!

— Стаканъ „дзмури нугеши!“ ჰი ჰი-ჰი!

— Это Чеховскій эпиходовъ—ჰა-ჰა-ჰა—

„двадцать два несчатья!“ ჰა-ჰა-ჰა!

ელურტულობდენ ანგელოსები.

ჩემზე უბედური, ჩემზე შერცხვენილი და შეურაცყოფილი ქვეყანაზე არავინ იყო.

მეტის მოთმენა ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩაისთვის აღარ დამიცდია. ავდექი. ჩემი სკამი რასაკვირველია, მაშინვე წაიქცა. ქულის მაგიერ საფულე ყულაბს წამოვაღვე ხელი და წამოვედი ბარბაციით.

ხარხარმა იმატა.

შუა დარბაზში ერთი ანგელოსთაგანი დამეწია, ყულაბი გამომართვა და ქული ჩამიდვა ხელში.

კარებთან რომ მივედი, კვლავ წავებოროძიე

ფეხის საწმენდს, შევედექი ზედ და ფეხის წმენდა დავიწყე.


ფეხებს ვიწმენდდი გასვლისას ტალახში სასიარულოთ!..

ეს იყო უკანასკნელი ნაკვთა, სურათის დასამთავრებელი, საბოლოო კალმის მოსმა, რომელმაც სრულ-ჰყო და დაავიკრგვინა სურათი და განაახლა და მწვერვალამდე აიყვანა საერთო გიგურ ხარხარის ქარტეხილი.

გამოვედი კარში და გაწუმულ წიწილასავით ავიბუხე ქუჩის პირში.

„ძმური ნუგეშიდან“ კი მკვეთრათ მოისმოდა „ნუგეშინის მცემელ ძმათა“ ხორხოცი და ამ ხორხოცში რუს-ქართველ კეკლუც ანგელოსთა კისკისი ისე გამოკრთოდა, თითქო მზეთუნახავი მარგალიტის მძივებს სწყვეტდა და ბროლის კრიალა სინზე აფრქვევდა საფანჯივით.

თაგუნა.



მაცხერხებული შენიძვნა.

(იჯავი)

მდიდარი კაცი იყო ესტატე, ამასთან ჰქონდა კეთილი გული: გასაჭირის დროს მის მეზობლებსა სესხად იმისგან მიჰქონდათ ფული.

არც სარგებელის იცოდა თხოვნა, ოღონდ თავნი კი არ დაჰკარგოდა, არც თუ თამასუქს ჩამოართმევდა, სოფელში სანდოთ ვინც კი ვარგოდა...

მაგრამ ყველა ხომ ერთი არაა: ზოგი მრუდია, ზოგი მართალი, ესტატეც ყველას უტყუვრად სცნობდა, გამჭირახეთა ეჭირა თვალი.

და სოფლის მკვიდრთა სიავ-კარგეზე როცა გინდოდათ გცოდნოდით რამე, ესტატეს უნდა შეჰკითხებოდით: ის იყო მათი სწორი მოწამე!

ამ მხრივ ესტატეს აზრი და სიტყვა იყო ურყვევლ საბუთიანი,

ადრე

სხვა ესტატებს ის არა ჰგავდა,
 ფრქვა: „ესტატე სამართლიანი“!
 ერთხელ ამ სოფლის მკვიდრთა შესახებ
 ასტყდა ბაასი ერთ ვიწრო წრეში:
 პეტრე იცავდა ივანიკასა,
 გივი კი გოგია ჰყავდა სახეში.
 პირველს უშვერად ლანძღავდა გივი
 და მეორეს კი პეტრე სძრახავდა,
 პეტრე აქებდა ივანიკასა,
 გივი გოგიას მტრედით სახავდა...
 დედლარ მორიგდენ ერთმანეთ შორის,
 ასტებეს ერთი აღ-ზაური...
 მაშინ ესტატემ ასე შენიშნა,
 ეფმით დავას რომ ათხოვა ყური:
 „სიანს, რომ საერთოდ ორივე კარგია,
 საითათოდ კი მე იმას ვიტყვი,
 რომ გოგიასა სჯობს ივანიკა
 და ივანიკას—ყველა პირტყვი!“
 ამ შენიშვნაზე მოღავეებმა
 ხმა ჩაიწყვიტეს, გაჰკმინდეს ენა:
 ავს კარგათ ნუვის ნუ მოაჩვენებ,
 თუ რომ არ გინდა თავის შერცხვენა!

ონისიმე.

გ მ ზ ი

(იხ. „ქუშპაის მათრახი“ № 7)

თავჩაქინდრული რომ ვარ და დავტირი ჩემს
 უბედურებას, ამ დროს შემომესმა თამადის ხმა:
 — მასპინძელო, ალავერდი! და ჩემს წინ
 თეფშზე ჰქიამ ჩხრიალი მოადინა.
 — ეს შეურაცყოფა! მე ქიქა გესროლე და
 შენ. არ დაიქირე! იწყინა თამადამ.
 — თქვენსკენ არ ვიციკირებოდი, მაშასადამე
 არღოჭიქა დამინახავს! ვუპასუხებ მე.
 — ეფუ!.. ერთი დაიღრიალა ამ კაცმა და
 წამოიქრა. ეცნენ, შეიქნა ჩოჩქალი.
 — როგორ ჭამიწყრა ღმერთი და ვიუკადრისე.
 — როგორ თუ ჩემს სუფრაზე მევე ცემას მი-
 ცირებს მეთქი და გავიქაჩე.
 — ცნო ვაღვიქაჩეო! ვაიქაჩა ისიც. ეს 25 კაცი ყველა
 იმას ესევა, მარა ვინ დაამარგებს?! მოდის და სტო-
 ლი, სკამები, ეს ამოდენა ხალხი—ყველაფერი თან
 მოაქვს...
 მეცა ბიკენტი.
 — კაცო, შენს ღმერთს შეხედე... გაჩერდი!

გიჟია, გადარეული! რკინას ისე ლექავს, როგორც
 კინტ ყველს!..
 შიშისაგან დავცხრი.
 დავეშვი სკამზე და ფიქრობ:
 — ღმერთო, ოღონდ აქედან თავ მთელი გა-
 მიყვანე და თუ ოდესმე ქუთაისში ჩამოვიდე, ცოც-
 ხალს ნუ გადამარჩენი...
 მეტი რა გზა მქონდა—ბოდიში მოვიხადე, მი-
 ველი, გულზე ვემთხვიე და შევრიგდი...
 — კაცო, ამ შუა ქაშაში რომ ჩხუბობთ, მე
 რას მუშენებთ? ჯერ გაქძე და მერე, თუ გინდათ
 თავ-პირი დაამტვრიეთ ერთმანეთს. ვითომ ოობუნ-
 ჯა ტიტკომ.
 ახლა იმაზე ფიქრობ—ერთი გავისტუმრო ეს
 ნახარჯი? თუ ჩემი ჯიბიდან მივეცი, ერთი თვის
 ჯამაგირი არ მეყოფა და ცოლშვილს რაღა ვუყო?
 ან სადა მაქვს ფული?
 გადავწყვიტე, ისევე წინამძღოლს წარუდგენ
 ანგარიშს. ვეტყვი—თავდა-აზნაურობა დაგიატიყე
 შენს მაგივრათ მეთქი და გადაიხდის.
 ამ ფიქრში რომ ვარ, შემოიქრა ბიკი და და-
 იყვირა:
 — ბატონო, გვიშველეთ, თქვენი მობარებუ-
 ლი გოჭი გაგვექცა!
 გოჭი გაგვექცაო—წამოვარდი!
 კარებში ირაკლი დამხვდა—აღარ მიშვებს.
 — რომ მირბინარ, ამ ნახარჯს ვინ გადაიხდის?
 — ნახარჯი კი არა, გამიშვი, თორემ გაგა-
 ციმბირე. ისეთი თავგანწირვით დაუყვირე, რომ
 გზიდან გადადგა.
 — დეინო რომ მოითხოვონ—მიეცე? მომაყ-
 ვირა გზაზე.
 — მიეცი! სვავი მავათ მუტეკლს! მივაძახე და
 გავექანე.
 ჩემი გოჭი უკვე ბალთან მირბოდა.
 დასდევნებია ბაზრის ბიკ-ბუქები...წივილ-კივი-
 ლი, ყოყინა, სიცილ-ხარხარი!
 ამან სულ გააგიჟა გოჭი.
 გარბის მარა, რას გარბის!
 მისდევ, მარა მულად ცოტა სუსტი გახლა-
 ვარ.
 თან ბრაზი მახრჩობს. მე სტატსკი სოვეტნი-
 კი, პოლკოვნიკი, დღე დღეზე ღენერლობას მოვე-
 ლი, ენა გადმოგდებული, ქუდ მოგლეჯილი მივ-
 დევ გოქს და დესეტნიკებს-კი - დაუღიათ პირი და
 ხარხარებენ. ზოგი ხმაღსაც გაუქნევს ხოლმე, რომ
 მეტად დააფრთხონ, ისედაც გაგიყვებული გოჭი.

გავბრაზდი!

თუ არ შეგაფუტუნეთ, კაცო არ ვყოფილვარ მეთქი—ვიფიქრე და ვიყვირე:

— არიქა, უშველეთ, გუბერნატორის გოქია! ღმერთი არაღის გავიწყებს, ხელი არ ახლოთ-მეთქი! გუბერნატორის გოქია! აბა დაიძრა ჯამაათი. ბირბის დესეტნიკა, მისდევს უბნის ზედახედველი, მიქენობს ბოქაულო!

გავიხედოთ ოთხ ცხენიან ეტლს მოაქანებს პოლიცმეისტერი.

გახდა ტელეფონის რეკა.

გავიხედოთ მაზრის უფროსი ცხენით და ნტრა-ენიკებით მოგვდევს.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა.

იმ სამგლემ დაადგა თავი თფილისის ქუჩას და მირბის.

მევახწიეთ სადგურის გადასახვევთან, საშინელი ყუინა შემომესმა. შევხედე-ტფილისის ძველი ქუჩის გადასახვევი ხალხს გაუკრავს—კეტებით და ქვებით ხელში.

გეგმა ასეთი იყო, უნდა სადგურზე მიგვეჩიხა და იქ დაგვექირა.

სადგურის შოედანზე ხალხს ტევა აღარ ჰქონდა. კეტები, ცოცხები, ჩოთქები, ჩვრები! ვისაც რა მოხვდა ხელში! რა ვიცო!

გოქი ხალხში შეიქრა.

ხალხი აჩოჩქოლდა.

მოსულეები დამხთურებში აირია.

— გოქი! გოქი!. ყველა ყვირის.

დიდი ხნის აურ-ზაურის შემდეგ, ბალახენის ქუჩიდან მოგვესმა:

— გოქი რიონში გადავარდა და დაიხრჩო!

როგორც გამოძიებამ გამოარკვია, თურმე ის სამგლე არეულობის დროს ხალხს ფეხებში გაუძვრა, დაეშვა იქვე გადასახვევში ბალახენისაკენ გადაირბინა მოედანი და რიონში კი ისკუბა.

ხალხი დაიშალა.

წამოვედი დამწუხრებული.

ჩემი „სტუმრები“ ისევ სუფრას უსხდნენ.

აბა იქ როგორ და გავებდავდი შესვლა!

მოვითხოვე ანგარიში. 78 მ და 60 კ. წარ-

მომიდგინეს.

ჯიბებზე მქონდა გზის ფული და სახარჯო მ მანეთი.

გაიმართა მოლაპარაკება, ჩემზე დარჩენილი-ყო.

იმდენი მლანძღა და მაგინა რესტორანის პატ-

რონმა რომ გოქისაგან მოყენებული შეურაცყოფა სულ დამავიწყა.

მაგრამ ყველაზე უფრო ის მაბრაზებდა, რომ როცა ირაკლი მლანდავდა, ჩემი სტუმრები „ლიახ-ეო, ლიახეო“-ს გაჰკიოდნენ.

როცა ლანძღვით გული იჯერა, დასთანხმდა იმ პირობით—რომ თამასუქი მიმეცა.

ვინ პირზევი ასი თუმნისას არ მისცემდა, ოღონდ თავ-მთელი გავეშვი სახლში.

მოვეწუტე ხელი და წავედი.

მაგრამ აღარ გნებავს წინამძღოლს ეჩვენო?!

გავიწყვიტე შუბლის ძარღვი, მივედი და ყვე-ლოფერი ვუბამე.

აღარაფერი მითხრა, მაგრამ...

იმ დღეს, როცა მისას წაჩინებული სტუმრის პატივსაცემათ ლხინი იყო და ყველა ჩემი ნაცნობ-მეგობრები ქეთობდნენ,—მე სახლში ვიჯექ და ცოლს ვეჩხუბებოდი.

სადილზე უგოკობა შეუძლებელი იყო.

იმოვნეს საუღაც ბღინკი, ნაუღლი გოქი და მიაართვეს.

ის წყველი შემწვარი მინც ისეთი გამოსუ-ლიყო, რომ ძაღლი არ ჰამდა თურმე. შავი, შავი, როგორც ნახშირი და ძვალი და ტყავი.

სტუმარმა წარბი შეიკრა.

წინამძღოლმა თავის გასამართლებლათ ყველა-ფერი ჩემი თავგადასავალი უამბო.

არ ვასულა ერთი თვე—ცნობა მომივიდა: სამ-სახურიდან დათხოვნილი ხარო.


რესტორანის პატრონმა მიჩივილა და ჩემს „ბენ-სიას“ „არესტი“ დააღო.

დღემდის ვიხდი და კიდევ დამრჩა.


წინამძღოლმა მადლობა მიიღო.

ირაკლი თავის ფულს განიანდებს და ჩემი „სტუმრები“ კი თავზე დარჩნენ!..


ვალ. შალიკაშვილი.



როგორ ჰქონდათ გერმანელებს წარმოდგენილი მომავალი ომი*)



საფრანგეთის რესპუბლიკა წინადადებას მისცემს ერნესტ პოსარტს გამოეცხადოს ფრანგთა ჯარს ნაპოლეონ პირველის სახით და ალაფრთოვანოს იგი.




ამერიკა ხმელეთზე სრულად დამარცხდება. ჯარისკაცებს გასწყვეტს მოწამლული კონსერვები და ქვეყანას იაპონელები დაებატონებინან.

სამაგიეროთ ამერიკა გაიმარჯვებს ზღვაზე. ერთი ამერიკელი ადმირალი ჩანთქაუს მთელ იაპონიურ ფლოტს.

*) ეს კარიკატურები ამოღებულია 1907 წლის გერმანული ჟურნალიდან.

ბოგორ ჰქონდათ გერმანელებს წარმოდგენილი მომავალი ომი.



გასამხნეველათ გერმანელი სალდათი შეიარაღებული იქნება გრამოფონით.

თითონ თუმცა რაქველია ქუთაისში ცხოვრობს ბინათ... (ციხეშიც კი ბრძანდებოდა ამ ორიოდ წლისა წინათ).

თავი მოაქვს ნასწავლ კაცად, (ექს-მწერალი ვახლავთ სოფლის) წელს ისუქებს ხალხის ფულით, არ სჭირდება დაღვრა ოფლის.

ქუჩა-ქუჩა დაწანწალობს იქ დაეძებს ის საკბილოს, რომ დასტყუოს ვინმეს ფული და ან მუქთად ისადილოს.

ახლიდ ჯარში გაწვევულებს ის პირდება დახსნას შევლას, და ისინიც უჯერებენ ამ ცბიერს და ცრუ-პენტელას.

ხუთასს, ექვსასს ართმევს თითოს (ეს არს მისი „შრომის ფასი“) ზოგს კი ისე უხდის საქმეს რომ ვერ შევლის ვერც ათასი.

როს ფულს იღებს მიკიტნისკენ გაჩქარებით მიაბიჯებს, იქ არს მისი „გლავნი შტაბი“, ის იქ ნახავს თვის ძმა-ბიჭებს.

დასხდებიან სვამენ ღვინოს სვამენ შემწვარ-მოხრაკულებს. ღღე და ღამე იქა გდია და იქ ფლანგავს ჰარამ ფულებს.

კუჭის მონა კუჭზე ზრუნავს, კუჭს აყენებს დიდსა ძალას, და იმ ფულის პატრონებს კი აელტებს ყველას პირში ჩაღას.

აწუ კი კმარა, თორემ ლექსი ცოტა გრძელი დაიწერა, აბა ვინძლო გამოიცნოთ— ვინ არის ეგ გაიძვერა.

კვახაძე.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(რაჭასთვის)

ტან მსხვილი და ღიპიანი კისერ ჩასუქებულია, წამუსსა და სინილისზე სწორედ ხელ აღებულია.



ქუთაისის ქალთა კრება.

ნაწილი პირველი.

სტენა წარმოადგენს შავი ქვის მრეწველთა დარბაზს. თავმოყრილია ქუთათური ქალები: მალღები, დაბლები, სხვილები, წვრილები და სხ. დარბაზის შესავალთან შეჯგუფულან მამაკაცები: სტუდენტები და ქალაით შემკულნი მამები. ცნობის მოყვარეობით იჭვრიტებიან ქალებისაკენ და მხიარულათ ხითხითებენ. ერთი მელოტი სტუმარი მიუბრუნდება ღიპიან ეჭიმს:

მელოტი. თქვენ, ბ. ექიმო, თავს რაზე იწუხებთ აქ ყურყურით. დრამატიული საზოგადოების კრებაზე წაბძანდით და იქაური ამბები მოისმინეთ, აქ თქვენი ნახევარი დარჩება. საღამოს ერთიმეორეს გაუზიარეთ ნახულ-გაგონილი; სიაშოვნებით ჩაგვიტყობათ.

ექიმი. შენიშვნა ქუკუსთან ახლოა, მაგრამ მე მინც მინდა ქალების ორატორულ დოდს დავესწრო. სტუდენტი. (მეორეს). შეხედე, ბიქტორ, იმ ქალს მაგიდასთან რომ დგას, ჯოჯოხეთის მამხალას არა გავს ის ოჯახქორი? მოგცა მავი და ათასი თუმანი ვალი?

მეორე სტუდ. რაღა მახინჯებს ათვლიერებ, შე მა-მაცხონებულო, ლამაზები ცოტაა? აი იმ თეთრ შლიაპიანს შეხედე, რა დაბარწული ლოყები აქვს. ერთი მაგისი თავი ჩამაგდებია ხელში და მერე თუ გინდა უნივერსიტეტიდანაც დამითხოვონ...

1 ჭადრა. შეხედე, შეხედე, თომა, კარებთან რომ დედაკაცი სდგას. ხო, ხო, ხო რა ძუძუები აქვს. ერთ წიგნის მალაზიით არა ღირს?!

2 ჭადრა. შენ კი არ აიღებდი ერთი წლის ჯამაგირზე ხელს, ჩემო ვარდენ, ოღონდ თავი მიმადებოდა იმ აყვავებულ მკერდზე? უყურე, როგორ ცხვრის ღუმლისავით ათაქათაქებს... ძალიან ლუკმაა!.

1 ჭადრა. შენ თუ კაი კაცი იყო, აქ რა გინდა? რა შენი საქმეა ქალთა კრებაზე ყურყურით?

2 ჭადრა. შენს თავს დაეკითხო ის არ გიჯობს, რაღა მე შეკითხები?

1 ჭადრა. მე აქ სხვას ვუცდი.

2 ჭადრა მეც კიდევ სხვას ვუცდი. (ორივეს ეცი-ნებათ).

ნაწილი მეორე.

(იგივე დარბაზი... ქალები თავმჯდომარეს ირჩევენ).

ერთი ქალთაგანი. აირჩიეთ თავმჯდომარე. (ყველა ერთად ალაპარაკდება. საშინელი ხმაურობაა. არაფრის გარკვევა არ შეიძლება. მოისმის ზა-

რის ხმა. წყნარდება. ვილაც აცხადებს, რომ თავმჯდომარეთ არჩეულია ლიზა ხოჯის ასული) თავმჯდომარე. (მოისმის ხმა. თვითონ არ მოსჩანს).

ბატონებო! თქვენ ყველას მოგესვენებათ, რომ სამუდამოთ სიცოცხლე არავის არ უწერია. ამიტომ ადამიანები იხოცებიან. გარდაიცვალენ, მაგალითად, ადამი, ევა, აბრაამი, ნოე, ვახტანგ გორგასლანი, თამარ მეფე, გაბრიელ ეპისკოპოსი და ილია ქაჯქაჯაძე. ბევრი სხვა გარდაიცვალა, მაგრამ ყვე-ას ხომ ვერ ჩამოგივლით? გთხოვთ მიცვალებულებს პატივი სცეთ ფეხზე აღგომით (ყველანი დგებიან).

ერთი წყნათაგანი. ბატ ბო! ქანა ლიზამ ჩვენ მოგვიწოდა ფეხზე ავმდგარიყავით, თვითონკი სკამიდან არ დაძრულა. (მოისმის უკმაყოფილების ხმები სხვადასხვა კუთხიდან: „ადგეს, უსათუოდ ადგეს“).

თავმჯდომარე. ბ-ბო! დაწყნარდით. აქ გაუგებრობაა. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარეთ დამასახელებით, სულ ფეხზე ვდგავარ. ფეხზე ვდგავარ ახლაც, მაგრამ თუ ამას ვერ ამჩნევთ და მჯდომიარე გგონივართ, ამისი მიზეზია ჩემი მომცრო აგებულობა. (კრება მინც არ წყნარდება. თავმჯდომარე იძულებული ხდება სკამზე შედგეს. კრება ამის შემდეგ წყნარდება).

თავმჯდომარე. გთხოვთ აირჩიოთ სეკატარი. (დარბაზში საშინელი ღრიანცელი ასტყდება. იქნევენ ხელებს და ფეხებს. ბოლოს მაგიდასთან გადის ერთი წითელთმიანი მანდილოსანი და იერიქონის საყვირის ხმით აცხადებს: ბ-ბო! მაქვს პატივი წარმოგიდგეთ. მე ვახლავარ თქვენი მდივანი. კრება კმაყოფილია).

თავმჯდომარე. (არჩევიდან ორი საათის შემდეგ). ბ-ბო! თურმე მე უფლება არა მქონია თქვენი თავმჯდომარეობისა, რადგან საზოგადოების წევრი არა ვყოფილვარ. ეს ამბავი ახლა შემატყობის. (ხმაურობაა. მოისმის ხმები: ჩაეწერე ახლავე წევრათ, თორემ თმებისაგან გაგცლით. როგორ ვაბედე ჩვენი მასხრათ აღება?)

თავმჯდომარე. მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თქვენი ეულანიის ასრულება მინც არ შემიძლია რადგან თან ზონტიკი არ წამომიღია...

ხმები. ეს ჩვენი გაღანძღვაა. ჩაეწერე ახლავე, თორემ ძირს ვადავადებთ ფანჯრიდან!

ბესარიონ ჯანი. სად გაგონილა, პატენი, ამდღონი ვარქობა? ჩქიმით თიერთი შეავლარი რომ დასაგირავებლათ გამიხდეს, ლიზას სარწევო ფულს

მაინც ვადვირბდი. (შეაქვს ფული. ლიზა თავ-
მჯდომარეთ რჩება.

ნაწილი მესამე.

თავმჯდომარე. ბ-ბო, ვიღამაც ხარა მომპარა. გთხოვთ
უკანვე დამიბრუნოთ. ამის შემდეგ მე მინდა
გამოვარკვიო რამდენი წვევრია კრებაზე. გთხოვთ
მარტო წვევრებს აბრძანდეთ ფეხზე. (ყველანი
დგებიან. თავმჯდომარე მაგიდაზე ადის და კრე-
ბას დიდხანს ათვალეირებს).

მდივანი. დაბანდით, გეყოფათ ფეხზე დგომა.

თავმჯდომარე. მდივანო, ჩემს უფლებებში ნუ ერე-
ვით. მაკალეთ თვითონ ვაუქმდევ კრებას. მე-
ტიჩრობას აქ ადგილი არ უნდა ქონდეს. (მდი-
ვანი გაბუტული ჩარგავს რვეულში თავს) დაბ-
დანდით, ბ-ბო! ახლა კი ისინი ადექით, ვინც
არ არის წვევრი. (მთელი კრება დგება) გთხოვთ
სხდომას სამასხრო ადგილათ ნუ ვადაქცევთ.
ეს როგორ შეიძლება? ან თქვენ ხართ სულე-
ლები და ან მე. (საშინელი ხმაუროაა. თავ-
მჯდომარისაკენ იწვევენ: ესერიან ჩიხტებს, ქუ-
დებს, რიდიკულებს. თავმჯდომარე მაგიდას
ქვეშ იმალება. ვიღაცა მაგიდიდან მოპარულ
ჯარასაც ესერის. ზარის ხმის გაგონებაზე ყვე-
ლა ქურდის ძებნას შეუდგება. თავმჯდომარე
ისევ თავის ადგილს იჭერს).

ოფისკა, მე პრინციპიალურათ წინადადებას ვიდლე-
ვი სათითაოთ წაიკითხონ წვევრების გვარები.
(კრება ლებულობს წინადადებას).

მდივანი. (კითხულობს სიას). აბაშიძისა კიტა (მამა-
კაცებში სიცილი მოისმის).

თავმჯდ. მდივანო, თქვენ ურევთ ალბათ სახელებს.
კიტას რა უნდა ჩვენს წრეში?

მდივ.ნი. უკაცრავათ, ბ-ბო, სადღაც მის სურათს
მოვკარი თვალი და იმან შემაცდინა. (კითხუ-
ლობს) ანჩხლადისა ნინა, დუნდულაძის ასული
სალომე, ბუტიაძისა ნატალია (კარებისაკენ
გაიხედავს) ახვლედიანისა შალვა... (მოისმის
პროტესტები).

ხუბი. კიდევ კაცების სახელ-გვარს კითხულობ?

მდივანი. (არეულათ) უკაცრავათ, კარებისაკენ ვაგი-
ხედე და თვალვებში შემეჩხირა. (განავრძობს
სიის კითხვას, რომელიც სამ საათს გრძელ-
დება).

ნაწილი მეოთხე.

(შუა ღამეა. კრება გულის ძილს მისცემია. ლიზას მაგიდაზე
სძინავს. პრეზიდენტს მანუ თავები მიულავებიათ და ერთად
ზვინავენ. დანარჩენი წვევრები ზოგი სკამებზე მიწოლილა,
ზოგიც იატაკზე გაქიმულა. შემოდის საბჭოს მოსამსახურე.
ვალდის მძინარე გველებზე და მაგიდასთან მიდის. იღებს ხელ-
ში ზარს და მძლავრათ რეკს. ქალები იღვიძებენ, თვალებს
იფშენენ).

დედა. (მიუბრუნდება ქალიშვილს) შვილო, ანეტა,
საბანი გადიფარე, არ შეგცივდეს. კარი ღია
დაგვრჩენია.

სასტუმრ. მსასხურა. ბ-ბო, როგორ შეიძლება აქანა ძი-
ლი? მოგიოხრებიათ ყველაფერი. კრების გა-
მართვა რა თქენი საქმეა, ჯერ ლობიისა და
ტყემლის მოხარშვა ვერ მოგიხერხებიათ რი-
ვიანათ?

ხონტპარი.

ფ ე ხ ზ ე ჩ ა ც მ ა .

(გუზული სცენა).

(ერმალია ფეხშიშველი მუშაობს ყანაში და
გზირი თავზე დაადგება).

გზირი. ერმალია გამარჯობა შენი...

ერმალია. ღმერთმა გაგიმარჯოს თუ კი ამბავი
მოგაქ...

გზირი. მამასახლისმა გიბრძანა: ამ მიწათში
„კანცალარიაზე“ გამოდი სხვაგან უნდა გაგა-
გზავნოვო...

ერმალია. ამაზე უკეთესი არ გევიგონა მისმა და
საფშუკავმა ყურებმა... კი მარა „სტოროვი“ რას
გიკეთებენ კაცო იქინე?

გზირი. „სტოროვს“ არ სცალია, მამასახლისი
ამუშავეებს შინ...

ერმალია. მამალეთისა გაუწყრეს იმას... „სტო-
როვს“ ჯამაგირი ჩვენ ვაძლიოთ და იმან ამუშა-
ვოს, ავია სამართალი?

გზირი. (გულმოსული) შენ ბევრს ნუ ყბედობ,
რასაც გიბრძანებენ იგი ქენი, ჩეიცივი ფეხზე და
წამოდი მალე...

ერმალია. (მტკიცედ) ფეხზე ჩაცმა არ შემიძლია
თუ გინდა, რომ დამარჩოთ მაინც...

გზირი. (შეუტევს) ვითამ რეიზათ?

ერმალია. (სიცილით) იმიზა, რომ რაც არ მა-
რა უნდა ჩღვიცა?

რ. ჯიბილ.

ს ი ფ ა თ ი .

ქალბატონ უმიტი შეგვექნა ავით
 ტერ-ნიკოგოსოვს მის სანახავათ
 (ვით ჯაინოზი და ლოსტაქარი¹)
 როგორ-ღა ეთქვა მისვლაზე ვარი?
 თუმც ის არავის მიუწვევია
 არც გასამრჯელო მიღობამეგია,
 მარა იმდენათ კეთილი ხარის
 სძულს თურმე კიდევ რომევა ქანქარის,
 თან ახლოც იყო უნდომის²) ბინა.
 ბატონი უმიტიც არ იყო შინა
 (არ მისულიყო ვით მოეთმინა?)
 მივიდა კიდევ დარევა ზარი
 მას ავთამყოფმა გიულთ კარი
 (მოსამსახურეს არ დაუცადა
 ექიმის ნახვის ებრძოდა მადა)
 და რა შევიდა შიგ ლოსტაქარი
 ამ ქალბატონმაც ვითარცა მთვრალი
 წაიბარბაცა (მე ვფიქრობ ბრალი
 ალბათ „სკვანოი“ თუ იყო ქარი)
 თანაც ჩაცმული არ იქნებოდა
 როცა ლოგინით წამოდგებოდა,
 მოვლენა ესე ძლიერ სზირია
 არც აგრე დიდათ გასაკვირია
 თუ მას ექიმმა მოხვია ხელი
 და იქ ლოგინზე ენა უთქმელი
 ვითარცა მკვდარი თუ მისვენა
 და შესატყობათ უნახა ენა
 რითაც გაიგო მან სიტყე დიდი
 და მაჯის ცემაც ას ოცდა შვიდი.

.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელათ
 საქმე მოეწყო ცუდათ და ძნელათ;
 თუმცა არ იყო წესი და ვადა,
 მაგრამ მათ უმიტი გამოეცხადა.
 ცოლი რა ნახა მწოლარე მისი,
 და მასთან მყოფი ექიმი თვისი,
 საქმეს „შეცდომით“ შეხედა ცუდათ
 (ექიმის ტყავი უნდოდა გულათ)

¹) ჯაინოზი—ძველათ განთქმული ქიორუგო.
²) უნდომი—ავადმყოფი, რომელსაც უინაური არაფერი
 არ მოსწონს.

მისდგა „მასაყით“ როგორც წესია,
 შემდეგ რაც მოხთა უკეთესია
 ჩემო მკითხველო რომ არ იცოდეთ...
 (მხოლოთ ექიმი კი შეიცოდეთ)
 ქალბატონსაც სკირს გულის ფრიალი
 რადგან მის სახლში ღრიალ-ხრიალი
 უგემურ ქმარსა არ შეეწყვიდა
 შეურაცყოფილ თავს რადგან სთვლიდა.
 ბულვარის ხალხი იქ შევიყარეთ
 იქვე ბუტუნაც კი დავიბარეთ
 გამოძიება რომ მოეხდინა,
 ორში მართალი თუ იყო ვინა
 და ეშმაკისთვის წამოგზავნა,
 საინტერესო არაა განა?

ბუტუნა.



მიკიტნის გოდება.

(ვეუძღვნი ნ. გ.)

ვაჰ! ჩაქყაბჯან, კაცო ამისთანა ხათა გინახავს?
 ჩემმა მზემ ეგ ოხერი ღერმანია სწორეთ ხათა გახდა
 რაღა! ისე ჯავრი მამდის, რო ლამის გავსკდე რაღა.
 კაცო ძმავო მაშ არ გავჯავრდე, ჩემთვის კოხტათ
 ტრახტირი მქონდა გამართული, ძმა ბიკები მოდიო-
 დენ არხენიათ ვვაჭრობდი. ღერმანიამ ვოინა ქნა
 თუ არა, ერთიც ვნახოთ ჩემ დუქანში პრისტავი
 მოდის და მეუბნება:

— კარაბეტ ოვადჯანოვ, ნემედლენო დოლქინ
 ზაკროიტ ტრახტირ!

მე ჯერ გამეცინა, მგონია ხუპრობს. ისე, ერთი
 არაყი უნდა მეთქი, მეც გავვხუმრე.

— კოვდა ვაშე სიატელსტვო, სედოდნია ილ
 ზავტრი-მეთქი. ააა, ვაჰ! კაცო არ დაიყვირა.

— შტო ტი სმეეტსა ღვორიტ, სინას ზაკროი,
 ღვორიტ. ვაჰ! ვეუბნები:

— ზაჩიმ ზაკროი შტო ია პატენტ ნი კუპილ შტოლი --აა.

შტოტი ღვორიტ რასუყდაეტ, პრიკაყემ ზაკროიტ. ვაჰ! ვხედამ აღარა ხუმრობს, მე დახლიდან თუმნაინი ამოვიდე დ ვეუბნები:

— ვაშე სიატელსტვო პუსტი მოი ტრახტირ ოტკროიმ ია ტეზე დესიატ რუბლეი დაიუ.

— ნეტ ნელზია ღვორიტ.

— ვაშე სიატელსტვო კადა ატკრიტ დელალ პიატნიატ რუბლეი დავალ, ვოდკი ბეზ დენგი დავალ, ზაჩემ ნი პუსკაყტ.

— ეტ ნი მოი დელა ღვორიტ ატო შტრაფ ბუდეტ ღვორიტ.

როგორც იყო წავიდა რაღა, ვაჰ! კაცო ჩემი ხელით დავკეტო ვაჰ! კაცო ღვინო, კერძი რაზე ხომ სულ გაფუჩდა, არა ძმავო რაც გინდა იყოს ჩემი ხელით არ დავკეტამ. ერთა საათა არ გასულა ის უნამუსო კიდევ არ მოვიდა.

— ნუ შტო ღვორიტ ნე ზაკროილ?

--- ვაშე სიატელსტვო კაკ ია ზაკროიმ ტამ კუხენ სოუს, ბორშ, კატლეტ, ვალუბცი, ჩიხირთმა, ხაშ, ხაშლამ, ვსიო ისპორტიტ.

გაიგე კაცო, იმ უნამუსომ ამაილა ქალაღდი, და შტრაფს არა სწერამს. მე ვითომ არაფერი ვიცი ვეუბნები:

— ვაშე სიატელსტვო, ეტ შტო პიშიტ?

— პიატსოტ რუბლი შტრაფ ბუდიტ ღვორიტ.

— ვაშე სიატელსტვო! ნე პიში პოკალუსტა ია სიჩას ზაკროიმ. საქმე არ გაქ. ის თავისთვინა სწერამს. ვაჰ! ვფიქრობ მართლა არ დასწეროს დაა, ჩქარ-ჩქარა ვკეტამ.

— ვსიო რავნო ღვორიტ შტრაფ ბუდიტ. ვაჰ! ამბობს და თანაც არ მიდის... სუფ სარქისის მადლმა სწორეთ ხათა ვახდა რაღა. ვეუბნები:

— ვაშე სიატელსტვო!! ვაშე სიატელსტვო!!

— უბირაისა ღვორიტ. მე მინც არა ვშორდები ვაჰ! კაცო სად უნდა წავიდე ჩემი დუქანი ხუთასი მანეთი არა ღირს, ის კი ხუთასი მანეთი შტრაფიო. ვეუბნები:

— დავი მოი შტრაფ პიატ რული დამ.

— შტო ღვორიტ პიტსოტ რუბლი ზა პიტ რუბლი ხოჩემ ღვორიტ! ვაჰ! კაცო ისე ამბობს თითქო თავის გიბიდან მიდისო.

— ნუ სემ ადამ.

— დესიტ დავაიო ღვორიტ. ავიდე გაიგე და თუმნაინი შიგ ხელში ჩაუდე, ვაჰ! იმ უნამუსოს არც კი შარცხვა ისე ჩასლო გიბეში, და თანაც აღინ

ბუტილკა ტაკოი პრინესიო, ი კოგდა ნაში ღვრმანია ვოზმემ ტოლდა ღვორიტ ატკროიტ. ხოროშო ვეუბნები და თანაც გულში: ვამბობ:

— ოხ ტი ნელოდა სკოპადარ ვიბიშ პრინესუ.

ეხლა დავდივარ და ტელელრამებს უყურებ. პერემიშლა რომ აიდე ისე გამეხარდა, ისე გამეხარდა, თითქო მე და ჩემი ხამფერა ყუთით საკსე ფულსა ვოვლიდეთ. ვაჰ! ერთიც ვნახთო ისე უკან არ წაიღეს?! ხათაა რაღა ჩემმა მხემ. კაცო წინათ გეუქა ამბობდა: ღვრმანაში მარტო კალბასის გაკეთება იციანო, ვაჰ! ხედამ ყურუმსალღები 4 ოინებს გვიშკებთან. ვაჰ! რატო მუშტით არ არის ეს ვინა, მაშინ ნახამდა რა დღეს დავაყრიდით და. ღვრმანის ღრანცაზე აელაბრელ გეუქას დავსომდი, ავსტრიაში კიდევ ორთაქალელ პეტრას, ერთი დედოთ კეფაში ვინ იცის კალბასნიკობაც დავიწყებოდათ. ეი გიდი აბათუმან ღვრმანის ჩვენი ვინას მოგება უნდა, მახლას.

შ. კ. აღამიძე.



დ ე პ ე შ ე ბ ი.

ფოთი. ადგილობრივმა ინტელიგენციამ (ყველა ჯგუფმა) დაადგინა: თანამედროვე*) ლექციები, წარმოდგენები და ყოფილი სამკითხველო, ახლად გახსნილ „სახალხო“ სახლში „პოლიზირში“ მოათავსონ და მუშაობა გააერთიანონ. საქმე „სასურველად“ მიდის. „დამოუკიდებელ“ მიზეზთა გამო კამათი კამათლებით სწარმოვებს.

იქიდანვე. ბოლქვადის ხე-ტყის ქარხნის ორ ჯგუფად გაყოფილი შვიდი (თითო ჯგუფში 31/2 კაცი შედის) მუშა გაიფიცა. ვაფიცვა „პოლიტიკური“ ხასიათის არის. მოითხოვენ „ხაზეინისაგან“: პირველი ჯგუფი მეორის, ხოლო უკანასკნელი პი-

*) ბახუს-ბაქარაზე და სიყვარულზე.

რველის დათხოვას. ეს პირველი მაგალითია ფოთელ მუშათა ცხოვრებაში. ქარხანა გაჩერებულია და მოვლიან ჯოჯოხეთიდან დამსჯელ ექსპედიციას.

იქიდანვე. ერთი ჯგუფი ქმრიან ქალები-სასატიკ პროტესტს უცხადებენ ბ-ნ შპიტს, რომელმაც ამ დღეებში თავის ავთომყოფ ცოლთან (ქ-ნ შპიტთან) საქირურგოთ მისულ ექიმ ბ-ნ ტერ ნიკოგოსოსს „შეცდომით“ ხელით შეურაცყოფა მიაცენა, რადგან მოულოდნელად სახლში მოსულ შპიტს ცოლის „ავთ მყოფობა“ არ სცოდნოდა და ექიმის ავთომყოფთან სამსახური „სხვაფერ“ გაეგო.

იქიდანვე. ტეხნიკი კრივაცე (ძველათ როსტომაშვილი) ამ დღეებში დაამთავრებს იმ „აბანოს“ შენობას, რომელიც კორესპონდენტ „ვალის“-სანუთანზობების ჯინაზე დაიწყო. ამ უქანასკნელ ოცი დღისა და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობს თურმე ხსენებულ „აბანოში“.


იქიდანვე. ქალბატონი მგაზნეთე სურგებიდან მოსვენებს თურმე ცნობილ ძლიერ ხატს „ლომის კარელს“, რომელზედაც დაიფიცებს სახალხოთ ბუღვარში, რომ მან (მგაზნეთემ) არც ლექსების წერა და არც საგაზეთო წერილების არ იცის და ვერც „ბუტუნასა“ და მის სააგენტოს იცნობს, რითაც თავიდან აიშორებს დასახელებულ ცილის ქაშაბას.

ბუტუნას სააგენტო.

ველის ციხე. (კახეთი) სულ შემხუთავი გააბების ქარხანა აღმოაჩინეს სოფლის შუაგულ „მეიდანზე“. გამოირკვა, რომ ყველაფერი სანიტარებს ოუწყვიათ.

იქიდანვე. დამტკიცდა რომ ხალხის ფულეით გამოყვანილი „წყარო“ ნაჭური არ ყოფილა. აა თუ ხშირად იმდრევა მხოლოდ და მხოლოდ ერმანელების ეშპაკობით.

ჩრჩილი.



სნეულთ სპემრინი

ნებადართულია შინაგ. სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796 და ს უ ს რ მ ბ ს

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოქანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი

გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გჭირთ - **გულს ნუ გაიტყობთ!** სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მის ეფულოთა წამალი სნეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ - ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენლობაზე, გადაახალისებს მას და სწემნდავს მას დაძველებულ რევნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოჰხედება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადაახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალას, და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებასა ჰმატებს. ექიმებმა დადასტურეს, რომ სათესლე ძაფების გამონაჭური უებარი წამალია: სიბერითა გამოწყვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), ძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამალკიებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავთომყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთა ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. ფასი - 1 ფლოკონი - 2 მან. 40 კაპ. ფასდაღებით ვგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყობი პროვიზ. ახვლედიანის აფთიაქში, თფილისი, გოლოფინის პროსპექტი № 41, დასაკვეთად მიჰმართეთ მთელი კავკასიისთვის წაზომადგენელს ი. გ. ახოზაძეს. ტფილისი, გოლოფინის პროსპ. № 41.

მიღებული გვაქვს სამაღლობელი წერილები აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიათ გამოაჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახოზაძესთან.

ქალაქ თფილისში

გამოდის უოკელ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა**, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მ ზ ო ლ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.


რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მისაღები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. яш. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)



*) ეს ადგილი კონვერტზე მარჯვნივ არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვადონებთ, რომ
◆ ჟურნალს წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆

როგორ ჰქონდათ გერმანელებს წარმოდგენილი მომავალი ომი.



სამხედრო ლავტომობილების მოკმელება ყოველივე მოლოდინს გადააქარბებს.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ ახვლედიანისა.

უფასუნა

ჩვენი გემო

კვასი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი უზადდება ზირკელ სარისსოფან მასალისაგან და ნადუდა წელით. სისუფთავე ქარხანაში სარეზოვით დაცულია. ამზადებს დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოსულე, გემო და სუნი მეტათ სისაიმოგნო აქეს.

ვისაც სურს დალოოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან ჩვენი გემო“ და არ აღრიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

ნებადართულია სავს. ცენზორ.

სტამბა ავს. „შრომა“.

რედაქტორ-გამომგ. თ. ბოლქვაძე